განათლებისა და გამოცდილების გავლენა სოციალური მუშაკების კულტურულ კომპეტენტურობაზე

ქეთევან კობიაშვილი

ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური მუშაობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციალური მუშაობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა საძაგლიშვილი MSW; PhD.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი,2014

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომიმ წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ქ. კობიაშვილი. 23.01.2014

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში კულტურული კომპეტენტურობის ცნება განხილულია სოციალური მუშაობის ჭრილში. ხაზგასმულია მისი მნიშვნელობა სოციალური მუშაობის სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების შესაბამისი პრაქტიკის წარმოებისათვის. ასევე, წარმოდგენილია კვლევა, რომელის მიზანიც კულტურული კომპეტენტურობისა და მისი ცალკეული კომპონენტების განვითარებაზე მოქმედი ცვლადების გამოვლინებაა. ნავარაუდევია რომ, განათლება და მრავალფეროვანი გამოცდილება გავლენას ახდენს კულტურული კომპეტენტურობის ხარისხზე. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 59 მა არაფორმალური (სერთიფიცირებული, ან სფეროში მომუშავე სხვა მიმართულებით განათლების მქონე) და ფორმალური (ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხის მქონე) განათლების მქონე სხვადასხვა გამოცდილების სოციალურმა მუშაკმა. კვლევის შედეგად ვერ მოხერხდა ჰიპოთეზების ცალსახად დადასტურება - მონაცემების სტატისტიკური ანალიზის შედეგად კავშირი დადგინდა მხოლოდ ცნობიერების სკალასა და განათლებას შორის. თუმცა გამოიკვეთა საიტერესო ტენდენციები გამოცდილებასა და ასაკთან მიმართებაში.